ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–69

ქ. თბილისი; 20 ოქტომბერი, 2020 წ. 12:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

თინათინ ნიბლოშვილი
ალექსანდრე ხუჯაძე
ნინო რუხაძე
ავთანდილ ცინცაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – **ვასილ აბულაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – **დავით ჯაიანი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი – **მარიამ კვერნაძე**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

2. „ქ. თბილისში, ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენთსის" (ს/ნ 204514926) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

3. „ქ. თბილისში, დიდი დიღომი, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ, პეტრე იბერის 6ა, 6ბ (ს/კ N01.10.06.001.111, N01.10.06.001.116, N01.10.06.001.117) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ 204531499) და შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფის" (ს/ნ 202446246) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

4. ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ. N29 (ს/კ N01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ. N49 (ს/კ N01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ. N47 (ს/კ N01.13.05.004.059) კოსმონავტების სანაპირო N45 (ს/კ N01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო N51გ (ს/კ N01.13.05.004.058) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ 204531499), შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ 204460957), შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფის" (ს/ნ 202446246) და შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტის" (ს/ნ 405243482) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

5. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.032) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას N46ᵃ-ში, (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.011.02.508) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით

პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისში, საქნავთობის დასახლებაში, ჭირნახულის ქუჩაზე (ნაკვეთი N02/008 საკადასტრო კოდი: N01.19.14.002.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N1-ში, (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.079.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005.02.511) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

10. “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა, N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.008.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

11. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს პარალიმპიური კომიტეტისთვის“ (ს/ნ: 400193090) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე”ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

12. “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N6-ში(საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.054.01.504 და N01.15.07.003.054.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

13. “ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუს N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.011.01.524) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისში, შუამთის ქუჩა N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

16. "ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N18-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.17.002.091) პირდაპირი გაკარგვის წესით გოჩა აბაზაშვილისთვის იჯარით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

17. "ქალაქ თბილისში, ზარათაშვილის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.009.028) 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მზეკაბანისათვის" (ს/ნ:204392031) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

20. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50

დადგენილებაში განსახორციელებელ ცვლილებებზე და დრო დაუთმო მათ დეტალურ აღწერას შემდეგი სახით:

- **დადგენილების მოქმედი რედაქციით დამტკიცებულ ინსტრუქციას ემატება მე-11 პუნქტი,** რის მიხედვითაც, მოსაკრებლის გადახდა არ ხდება, თუ სამშენებლო ობიექტზე „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 35-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე.
- **პროექტის მიხედვით,** მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლისაგან გათავისუფლდება ის ობიექტები, რომლებიც „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 35-ე მუხლის შესაბამისად მიიჩნევა დაუმთავრებელ მშენებლობად.
- **პროექტის მე-2 მუხლი ითვალისწინებს,** გარკვეულ დაზუსტებას, თუ რომელ ობიექტებზე უნდა გავრცელდეს ეს დადგენილება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ როცა ხდება დაინტერესებული პირის მიერ განაცხადის წარმოდგენა შესაბამისი დაუმთავრებელი ობიექტის დასრულების მიზნით კონკრეტული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე, დაინტერესებული პირის ფინანსურ გაანგარიშებაში ცხადია გათვალისწინებულია მათ შორის მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებელიც, როგორც ერთგვარი ხარჯი. შესაბამისად, ამ დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათი (მოსაკრებლისგან გათავისუფლება) აღარ უნდა გავრცელდეს იმ დაინტერესებულ პირებზე, რომლებთან მიმართებაშიც უკვე მიღებულია გადაწყვეტილებები, და როგორც უკვე აღინიშნა, ეს მოსაკრებელი მათ მიერ უკვე გათვალისწინებულია ხელშემწყობი ღონისძიებების მიღებისას.

ბატონ ლევანის განმარტებით, იმისათვის რომ მოხდეს პროექტით გათვალისწინებული ამ შეღავათის (მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლისაგან გათავისუფლდება) გამოყენება, ამასთანავე აუცილებელია არსებობდეს შემდეგი პირობა, კერძოდ: დაუმთავრებელი ობიექტის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის

2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 35-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები (ანუ, დაინტერესებულმა პირმა უნდა მომართოს ხსენებული რეგლამენტის 35-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტს და მის მიმართ ამავე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად გამოყენებული უნდა იქნას შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებები);

ბატონმა ლევანმა დააზუსტა, რომ ამ დადგენილების მოქმედება გავრცელდება მხოლოდ იმ ობიექტებზე, რომლებზეც ქალაქ თბილისის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე **გადაწყვეტილება მიიღო 2020 წლის 26 სექტემბრის შემდგომ,** აღნიშნულის დაზუსტება კი გამომდინარეობს, შემდეგ გარემოებასთან დაკავშირებით: „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 35-ე მუხლის შესაბამისად, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის აუცილებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობაც, თუმცა, ამ დადგენილების კონკრეტული მიზნისათვის, საკრებულოს თანხმობის პერიოდზე მითითება აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს.

მოხსენების დასასრულს ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შესაბამისი განკარგულებით და აღნიშნული დადგენილება, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

2. მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, ბოხუას ქ.N10 (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენთსის" (ს/ნ 204514926) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონმა ლევანმა დეტალურად ისაუბრა პროექტით წარმოდგენილი, დაუმთავრებელი მშენებლობის ხელშემწყობ ღონისძიებებთან დაკავშირებულ საკითხებზე და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან

დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებით მიმართა შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთსმა“ და მოითხოვა მისამართზე - **ქ.თბილისი, ბოხუას ქ. N10 (ს/კ N 01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო კომისიის მიერ, საკითხის, სხდომაზე განხილვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სახის გარემოებები:**

- ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10–ში 2008 წლის 24 მარტს გაიცა მშენებლობის ნებართვა და არსებული ქალაქმშენებლობითი პირობების ფარგლებში სამშენებლო ობიექტზე შესაბამისი კოეფიციენტების ოდენობა შეადგენდა: კ1=0.3; კ2=4.0; კ3=0.3;

- შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების მიმართ, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მერიის მიმართვის საფუძველზე, ქალაქ თბილისის პროკურატურის შესაბამისი წერილით, დედაქალაქის მერიაში წარდგენილ იქნა, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მოპოვებული დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების საფუძველზე, არსებული შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან დაკავშირებული კომპანიების კლიენტთა სიები ობიექტების მიხედვით 2010 წლის მდგომარეობით, ამასთან, კომპანია „ცენტრ პოინტის“ მიერ გამოძიებისათვის მიწოდებულ იქნა ცხრილები, სადაც ასახულია კლიენტთა სიები ამჟამინდელი მდგომარეობით. ხოლო, პროკურატურის წერილში განმარტებულია, რომ ინფორმაცია გადამოწმებულია შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ. თუმცა, მათი სიზუსტე არ არის დადგენილი შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებითა და მათი კომპლექსური ანალიზის საფუძველზე;

- ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით, კლიენტთა სიის მიხედვით, ფართის სახით დასაკმაყოფილებელია 38 პირი (გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა - 2534.68 კვ.მ), ამასთან, შპს ,,იქს მშენ დეველოპმენტს“ და შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენთს“ შორის 2020 წლის 29 სექტემბერს გაფორმებულ ხელშეკრულების მიხედვით, **ფართის სახით დასაკმაყოფილებელია 38 პირი (გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა - 2534,68 კვ.მ).**

- დაინტერესებულ პირს ქალაქ თბილისის მერიაში წარდგენილი აქვს დოკუმენტაცია, რომელებიც უკავშირდება არსებულ, შემდეგ ფინანსურ ვალდებულებებს: ფიზიკური პირის - მშენებარე ობიექტზე სამშენებლო ზედამხედველის და სამუშაოთა მწარმოებლის – ალიოშა ელიკაშვილის მიმართ სახელფასო დავალიანება, რაც შეადგენს 17 300 აშშ დოლარს; სესხი (ფიზიკური პირისგან) - 110 000 აშშ დოლარი, რომელთან დაკავშირებითაც წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია: საკრედიტო ხელშეკრულება - 146 000 აშშ დოლარი; სს ,,საქართველოს ბანკის“ იპოთეკა - 120 000 აშშ დოლარი; მომსახურების ანაზღაურება - 650 000 აშშ დოლარი - (ბესო ტაბატაძე, გიორგი ზედგინიძე), რომელთან დაკავშირებითაც ასევე წარდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია; თბილისის საქალაქო

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულ იქნა განჩინება მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ხოლო, მორიგების მიხედვით, მოპასუხე შპს ,,გეითვეი ჰოლდინგი" მოსარჩელის მარინა ჯიყაშვილის მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების 23 922 ლარის ანაზღაურების მიზნით, მოსარჩელეს მარინა ჯიყაშვილს გადაუხდის ყოველთვიურად 600 ლარს (განჩინება შესულია კანონიერ ძალაში);

ლევან ჟორჟოლიანმა თხრობა განაგრძო და მიუთითა, რომ ფართის სახით დასაკმაყოფილებელ პირებთან და ფინანსურ ვალდებულებთან მიმართებაში - შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტსა" და შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენთს" შორის 2020 წლის 29 სექტემბერს გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება, ამასთან, დეტალურად განიხილა, მშენებლობისათვის ხელშემწყობი ის ღონისძიებები, რაც ითხოვა, დაინტერესებულმა პირმა – შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენთს":

- შენობა-ნაგებობის ფუნქციის შეცვლა: ახალი საპროექტო წინადადებით, კომერციული ფართების ხარჯზე დაგეგმილია ავტოსადგომების მოწყობა და შენობა-ნაგებობა არის მრავალბინიანი;
- ,,ბ" ბლოკზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოფიციენტის (კ-2) გაანგარიშება აღნიშნულ ბლოკზე მიღებული მშენებლობის ნებართვის დროს არსებული რეგულაციების შესაბამისად, ხოლო, ,,გ" ბლოკზე - როგორც გრგ-ში შემავალ ბლოკზე, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოფიციენტის (კ-2) გაანგარიშება, აღნიშნულ ბლოკზე მიღებული მშენებლობის ნებართვის დროს არსებული რეგულაციების შესაბამისად;

- მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის არქიტექტურული ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მხოლოდ, ნაწილობრივ გათვალისწინება.

ბატონმა ლევანმა, მომხსენების დასასრულს მიუთითა, რომ კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის N8 ოქმის თანახმად, ე.წ. ,,ცენტრპოინტის" საქმეში უამრავი, დაზარალებული, კეთილსინდისიერი პირის არსებობის გათვალისწინებით, ამ პრობლემის გადაწყვეტა არის ძალიან მაღალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესის საგანი, **ყველა არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მისამართზე - ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ გამოყენებულ იქნას დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები, ხოლო, **ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ** შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენთს", ქალაქ თბილისის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში მისამართზე - ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის განესაზღვროს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

- მოხდეს კორექტირებული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუნქციით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად;

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაანგარიშება მოხდეს ,,ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტო N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების" შესაბამისად;

- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე;

- განმცხადებლის სურვილის გათვალისწინებით, ასევე მისაღები პრეფერენციების საკომპენსაციოდ, არქიტექტურული პროექტი დამუშავდეს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების გათვალისწინებით, გარდა ავტოსაშხეფი სისტემის გამოყენებისა საცხოვრებელ ბინებში და გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია და ფიზიკურად შეუძლებელია მისი დაცვა;
- ~
- დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის N8 სხდომის ოქმში აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების შესრულება განხორციელდეს შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტსა" და შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენთს" შორის 2020 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენთს"- ისთვის გადასაცემი ფართების ფარგლებში;

- ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ამჟამინდელი მდგომარეობით კლიენტთა სიით განსაზღვრულ პირთა გარდა, აღნიშნულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში სხვა პირთა მიმართ ფართის ან ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულებები შესრულებულ იქნას შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტსა" და შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენთს" შორის 2020 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენთს"-ისთვის გადასაცემი ფართის ფარგლებში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქ. თბილისში, დიდი დიღომი, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ, პეტრე იბერის 6ა, 6ბ (ს/კ N01.10.06.001.111,N01.10.06.001.116, N01.10.06.001.117) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის"(ს/ნ 204531499) და შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფის" (ს/ნ 202446246) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონმა ლევანმა კომისიის წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტით წარმოდგენილი საკითხი და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას** განცხადებით მიმართეს შპს ,,გეითვეი ჰოლდინგმა" და შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფმა" და მოითხოვეს მისამართზე - ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ, პეტრე იბერის 6ა, 6ბ (ს/კ N01.10.06.001.111, N01.10.06.001.116, N01.10.06.001.117) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, კომისიის მიერ, საკითხის სხდომაზე განხილვის შედგად გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ, გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვები: მე-6 კორპუსზე - 2007 წლის 21 თებერვალს და მე-7 კორპუსზე - 2007 წლის 21 თებერვალს, ამასთან, არსებული ქალაქმშენებლობითი პირობების ფარგლებში სამშენებლო ობიექტზე განისაზღვრა, **კ1** =ა) კორპ. 7- 0.33; კორპ. 6 – 0.34; კორპ. 9-10-11- 0.45; **კ2** =კორპ. 7 – 2.7; კორპ .6- 2.7; კორპ. 9-10-11 – 3.6; **კ3** =კორპ .7 – 0.1; კორპ. 6- 0.1;კორპ .9-10-11 – 0.1;
- შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მერიის მიმართვის საფუძველზე, ქალაქ თბილისის პროკურატურის წერილით, დედაქალაქის მერიას წარედგინა, გამოძიების ფარგლებში მოპოვებული დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების შესაბამისად, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან დაკავშირებული კომპანიების კლიენტთა სიები, ობიექტების მიხედვით, 2010 წლის მდგომარეობით. კომპანია „ცენტრ პოინტის" მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია კლიენტთა სიების შესახებ, ქალაქ თბილისის პროკურატურა წერილის

თანახმად, გადამოწმებულ იქნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ. თუმცა, მათი სიზუსტე არ არის დადგენილი შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებითა და მათი კომპლექსური ანალიზის საფუძველზე;

- ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით, კლიენტთა სიის მიხედვით, **ფართის სახით დასაკმაყოფილებელია 7 პირი (გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა - 453.62 კვ.მ);**
- შპს ,,იქს მშენ დეველოპენტს" და მეორე მხრივ, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგსა" და შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების დანართის მიხედვით, ფართის სახით დასაკმაყოფილებელია 7 პირი (გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა - 453.62 კვ.მ);

მომხსენებელმა ასევე მიუთითა, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, **დაინტერესებულ პირს, გააჩნია,** როგორც სხვადასხვა ოდენობების ფულადი ხასიათის ვალდებულებები **საბანკო დაწესებულებების, აგრეთვე, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის (მილენიუმი) მიმართ,** ასევე გააჩნია **ვალდებულებები სხვა დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის:** ბორჯომ-ლიკანის სამშენებლო ობიექტი - დასრულებისთვის საჭირო თანხის ოდენობა - 300 000 აშშ დოლარი,ბათუმის ,,მაგნოლია" - დასრულებისთვის საჭირო თანხა 1 400 000 აშშ დოლარი,სამშენებლო დავალიანება შპს ,,ევრომშენის" მიმართ - 264 307.16 აშშ დოლარი; 480 779.33 აშშ დოლარი; 453 658 აშშ დოლარი (ჯამში 1 198 744.49 აშშ დოლარი) და სხვა სახის ვალდებულებები, რომლებთან დაკავშირებითაც უმეტეს შემთხვევაში, წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტაცია, ხარჯთაღრიცხვები და კომპანიების მხრიდან, ბეჭდური სახით დამტკიცებული მასალები.

ბატონმა ლევანმა ასევე ისაუბრა, ფართის სახით დასაკმაყოფილებელ პირებთან და ფინანსურ ვალდებულებთან მიმართებაში შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტსა" და შპს ,,გეითვეი ჰოლდინგს", შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფს" შორის 2020 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებზე, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრულია, შემკვეთისა და შემსრულებლისთვის ფართების იდენტიფიცირებასთან და საჯარო რეესტრის წარდგენასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე, ინდივიდუალურ საგნებად დაყოფილი შესაბამისი ფართების მესაკუთრეების განსაზღვრაზე, ფართის სახით დასაკმაყოფილებელი პირებისა და ვალდებულების შესრულებისთვის ფართების გამოყოფისა და და სხვა მნიშვენლოვანი საკითხები.

მომხსენებელმა ასევე ჩამოთვალა, დაუმთავრებელი მშენებლობის ხელშემწყობი ღონისძიებები, რომელებიც ითხოვეს, დაინტერესებულმა პირებმა – შპს ,,გეითვეი ჰოლდინგი" და შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფი":

- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება; მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადმეტება: კორპ. 7 –7.2-მდე; კორპ. 6- 7.2-მდე; კორპ. 9-10-11- 10.0-მდე; შენობა-ნაგებობის ფუნქციის შეცვლა; დამტკიცებული

განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში განსაზღვრული იყო საგანმანათლებლო ფუნქციის შენობა. ახალი რეგულაციებით, ურბანული დაგეგმარების ახალი სტანდარტებით, მოცემულ ტერიტორიაზე საგანმანათებლო ფუნქციის შენობა ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილ ნორმებს. შესაბამისად, კორექტირებული გრგ-ში, მნიშვნელოვანია, არ იქნას გათვალისწინებული აღნიშნული შენობა. მის ნაცვლად, მიზანშეწონილია, მოეწყობს სარეკრეაციო სივრცე, ხოლო ასაშენებელი ფართი გათვალისწინებულ იქნეს 6-7-9 კორპუსების საერთო ფართში;

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2), მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და რაოდენობის გაანგარიშება მოხდეს ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოსN8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების" შესაბამისად;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის არქიტექტურული ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მხოლოდ, ნაწილობრივ გათვალისწინება.

ლევანმა დაამატა, რომ კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის N8 ოქმის თანახმად, ე.წ. ,,ცენტრპოინტის" საქმეში უამრავი დაზარალებული კეთილსინდისიერი პირია, რომლებსად, წლების განმავლობაში არ მიეცათ საშუალება, მათთვის განკუთვნილი ფართები გადაცემოდათ საკუთრებაში, სხვადასხვა უწყებების, ორგანოებისა და დეველოპერების ჩართულობითაც ვერ მოხერხდა დაზარალებული პირებისათვის სასურველი შედეგის დადგომა. აღნიშნულ საქმეში, მათ შორის, გამოიკვეთა, რომ შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფს" და მასთან აფელირებულ კომპანიებს, გარდა ფართების სახით გადასაცემი ვალდებულებებისა, აქვთ სხვა ფინანსური ვალდებულებებიც, შესაბამისად, მოცემული პრობლემების გადაწყვეტის ძალიან მაღალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, **კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მისამართზე - ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ, პეტრე იბერის 6ა, 6ბ (ს/კ N01.10.06.001.111, N01.10.06.001.116, N01.10.06.001.117) არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ გამოყენებულ იქნეს დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები.

ბატონმა ლევანმა დასასრულს დაამატა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგს" და შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფს" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში მისამართზე - ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ, პეტრე იბერის 6ა, 6ბ (ს/კ N01.10.06.001.111; N01.10.06.001.116; N01.10.06.001.117) **არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის განესაზღვროს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:**

ა) შეთანხმდეს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად;

ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს: კორპუსი 7 – (კ-2) – 7.2; კორპ. 6 – (კ-2) – 7.2; კორპ. 9-10-11 – (კ-2) -10.0;

გ) შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუნქციით, სიმაღლის სხივისა და მიჯნის ზონის დაუცველად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად;

დ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გაანგარიშება მოხდეს ,,ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების" შესაბამისად;

ე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე;

ვ) მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს 300 -ით;

ზ) განმცხადებლის სურვილის გათვალისწინებით, ასევე მისაღები პრეფერენციების საკომპენსაციოდ, არქიტექტურული პროექტი დამუშავდეს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების გათვალისწინებით, გარდა ავტოსაშხეფი სისტემის გამოყენებისა საცხოვრებელ ბინებში და გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია და ფიზიკურად შეუძლებელია მისი დაცვა;

თ) დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დაქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის N8 სხდომისოქმში აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების შესრულება მოხდეს შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტს," შპს ,,გეითვეი ჰოლდინგსა" და შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფს" შორის 2020 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგისთვის" გადასაცემი ფართის ოდენობის ფარგლებში;

ი) ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით კლიენტთა სიის გარდა, აღნიშნულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში სხვა პირთა მიმართ ფართის ან ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულებები შესრულებულ იქნას შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტს"- სა და შპს ,,გეითვეი ჰოლდინგს", შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფს" შორის 2020 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგისთვის" გადასაცემი ფართის ოდენობის ფარგლებში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ. N29 (ს/კ N01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ. N49 (ს/კ N01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ. N47 (ს/კ N01.13.05.004.059) კოსმონავტების სანაპირო N45 (ს/კ N01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო N51გ (ს/კ N01.13.05.004.058)არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ 204531499), შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის"(ს/ნ 204460957), შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფის" (ს/ნ 202446246) და შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტის" (ს/ნ 405243482)მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონმა ლევანმა კომისიის წევრებს გააცნო პროექტით წარმოდგენილი საკითხი და აღნიშნა, შემდეგი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებით მიმართეს შპს ,,გეითვეი ჰოლდინგმა", შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფმა", შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფმა" და შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტმა" და ითხოვეს მისამართზე - ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. N29, კოსმონავტების ქ. N49, კოსმონავტების ქ. N47, კოსმონავტების სანაპირო N45, კოსმონავტების სანაპირო N51გ–ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, კომისიის მიერ საკითხის სხდომაზე განხილვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- მისამართებზე: ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. N29, კოსმონავტების ქ. N49 კოსმონავტების ქ.N47 კოსმონავტების სანაპირო N45 კოსმონავტების სანაპირო N51გ - მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით - ბლოკი №1, ბლოკი №2, ბლოკი №3 და ბლოკი №7 - 2007 წლის 29 ოქტომბრის №6/998 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა, ხოლო, არსებული ქალაქმშენებლობითი პირობების ფარგლებში სამშენებლო ობიექტზე: კ1=0.39; კ2=4.0; კ3=0.8;

- შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე და დაინტერესებული პირის განცხადებით დაუსრულებელი მშენებლობის დაზარალებულთა იდენტიფიცირებისთვის შესაბამისი დოკუმენტაცია ინახება ქალაქ თბილისის პროკურატურაში, ამასთან დედაქალაქის მერიას, ქალაქ თბილისის პროკურატურის შესაბამისი წერილით ეცნობა, რომ კომპანია „ცენტრ პოინტის" მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია კლინტთა სიების შესახებ გადამოწმებულ იქნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ. თუმცა, მათი სიზუსტე არ არის დადგენილი შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებითა და მათი კომპლექსური ანალიზის საფუძველზე;

- ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით კლიენტთა სიის მიხედვით: ნალი 2- ფართის სახით დასაკმაყოფილებელია 100 პირი (გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა - 7882.12 კვ.მ, მათგან კომერციული - 303.87 კვ.მ, ნალი 2 – ფართის სახით დასაკმაყოფილებელია 5 პირი - (გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა - 263.78 კვ.მ, ,,ხერხი" - ფართის სახით დასაკმაყოფილებელია - 631 პირი (გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა - 11384.93 კვ.მ, ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" კრედიტორები - ფულადი სახით დასაკმაყოფილებელია 24 პირი (გადასაცემი თანხის ჯამური ოდენობა - 1 678 450 აშშ დოლარი და 98 000 ლარი, (დანართი N 4, სხვადასხვა ობიექტები);
- ცალკე გამოყოფილია ორი პირი მანანა ჩალიგავა და მაყვალა მეჯლუმოვი. წარმოდგენილი განმარტებით: მაყვალა მეჯლუმოვისთვის გადასაცემია - 2 400 აშშ დოლარი, მანანა ჩალიგავასთვის ბინა და თანხა - 3 574 აშშ დოლარის ოდენობით;
- შპს ,,იქს მშენ დეველოპენტსა" და შპს ,,გეითვეი ჰოლდინგს", შპს ,,კავკასუს პოინტ ჯგუფს", შპს ,,ცენტრ პოინტ სითის" შორის 2020 წლის 9 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების დანართის მიხედვით, ფართის სახით დასაკმაყოფილებელია 736 პირი (გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა - 20 787 კვ.მ), დაინტერესებული პირების განმარტებით, გადასაცემი ფართების ჯამურ ოდენობაში გათვალისწინებულია 24 ფიზიკური პირის მიმართ ვალდებულება, სასამართლო გადაწყვეტილებისა და აღსრულების ეროვნული ბიურს მიერ გაცემული აღსრულების ფურცლის შესაბამისად;

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ გარდა, ფართის სახით დასაკმაყოფილებელი პირებისა, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფს" და მასთან აფილირებულ კომპანიებს აქვს ფინანსური ვალდებულებები, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ და კომუნალური დავალიანებები, რომელთა დაკავშირებითაც, დაინტერესებულ პირს წარდგენილი აქვს შესაბამისი ინფორმაცია.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტსა", შპს ,,გეითვეი ჰოლდინგს", შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფს" და შპს ,,ცენტრ პოინტ სიტის" შორის 2020 წლის 9 ოქტომბერს გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება, რითაც გათვალისწინებულ იქნა, შემკვეთისა და შემსრულებლისთვის ფართების იდენტიფიცირებასთან (ინდივიდუალურ საგნებად დაყოფა), საჯარო რეესტრში წარდგენასთან, ინდივიდუალურ საგნებად დაყოფილი შესაბამისი ფართების მესაკუთრეობასთან, ფართის სახით დასაკმაყოფილებელი პირებისა და ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრული ფართები გამოყოფასთან და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები.

ლევანმა ასევე ისაუბრა, დაუმთავრებელი მშენებლობის იმ ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ, რისი გამოყენებაც ითხოვეს დაინტერესებული პირებმა- შპს ,,გეითვეი ჰოლდინგი" , შპს ,,ცენტრ პოინტ სიტი" და შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფი", რომლებსაც განეკუთვნება:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება - 8.5-მდე; არსებული შეთანხმებული პროექტით სართულიანობის - 22-28-32 გაზრდა მაქსიმუმ 4 სართულით; წითელი ხაზების კორექტირება;
- ახალი კორექტირებული გრგ-ს შეთანხმება, სადაც გათვალისწინებული იქნება შემდეგი: საკადასტრო კოდზე N01.13.05.004.173 არსებული სამშენებლო ობიექტის საკადასტრო საზღვრების კორექტირება საკადასტრო კოდთან N01.13.05.004.142 მიმართებაში - ფართის უცვლელად; საკადასტრო კოდზე N01.13.05.004.059 არსებული სამშენებლო ობიექტის საკადასტრო საზღვრების კორექტირება საკადასტრო კოდთან N01.13.05.004.142 მიმართებაში ფართის უცვლელად;
- კ2 კოფიციენტის გაანგარიშება იმ კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც მოხდა არსებულ ობიექტზე პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა;
- მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს 450-მდე ერთეულით. ამასთან, მიწისქვეშა ავტოსადგომისთვის ფართი განისაზღვროს - კ1-0.7-ით;
- დაინტერესებული პირების განმარტებით, ახალი კორექტირებული პროექტი ნაწილობრივ გაითვალისწინებს მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის არქიტექტურული ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებას.
- პროექტისთვის მნიშვნელოვანია, რომ არ იქნას გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის ფარგლებში: საცხოვრებელ ბინებში, კომერციულ და საოფისე ფართებში ავტოსაშხეფი სისტემების, კვამლის და ცეცხლის აღმომჩენი დეტექტორები; შენობების სიმაღლის განმსაზღვრელი მოქმედი ნორმები; სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასებაარსებულ საკვლევ საგზაო ინფრასტრუქტურაზე.

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ 2020 წლის 19 ოქტომბრის N8 ოქმის თანახმად, ე.წ. „ცენტრპოინტის" საქმეში დაზარალებულია უამრავი პირია, რომლებსაც წლების განმავლობაში არ გადაეცათ კუთვნილი ფართები, ხოლო, საკითხის მიმდინარეობისას, სხვადასხვა უწყებების, ორგანოებისა და დეველოპერების ჩართულობის მიუხედავად, დაზარალებული პირებისათვის სასურველი შედეგი არ დადგა, ამასთან, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფს" და მასთან აფელირებული კომპანიების სახელზე, გარდა ფართების სახით გადასაცემი ვალდებულებებისა, გააჩნიათ სხვა ფინანსური ვალდებულებები და ამ პრობლემის გადაწყვეტა არის ძალიან მაღალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესის საგანი, ხოლო ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, **კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მისამართზე - ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. N29, კოსმონავტების ქ. N49, კოსმონავტების ქ. N47, კოსმონავტების სანაპირო N45, კოსმონავტების სანაპირო N51ბ არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ გამოყენებულ იქნეს დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები, ხოლო **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა:**

შპს ,,გეითვეი ჰოლდინგს", შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფს" , შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფს" და შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტს" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. N29, კოსმონავტების ქ. N49, კოსმონავტების ქ. N47 კოსმონავტების სანაპირო N45, კოსმონავტების სანაპირო N51გ არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის განესაზღვროს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

ა) შეთახმდეს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად;
ბ) კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ2) განისაზღვროს - 8.5-ით;
გ) შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად სიმაღლის სხივის დაუცველად, წითელი ხაზების კორექტირებით;

დ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გაანგარიშება მოხდეს ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების" შესაბამისად;

ე) მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს 450-მდე ერთეულით. ამასთან, მიწისქვეშა ავტოსადგომისთვის ფართი განისაზღვროს - კ1-0.7-ით;

ვ) განმცხადებლის სურვილის გათვალისწინებით, ასევე მისაღები პრეფერენციების საკომპენსაციოდ, არქიტექტურული პროექტი დამუშავდეს „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების გათვალისწინებით, გარდა ავტოსაშხეფი სისტემის გამოყენებისა საცხოვრებელ ბინებში და გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია და ფიზიკურად შეუძლებელია მისი დაცვა;

ზ) ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით კლიენტთა სიით წარმოდგენილ პირთა, შპს ,,ცენტრ პოინტ სიტის" კრედიტორ პირთა და სასამართლო აღსრულების ფარგლებში წარმოდგენილი პირების გარდა, აღნიშნულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში, სხვა პირთა მიმართ ფართის ან ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულებები შესრულებულ იქნას შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტსა" და შპს ,,გეითვეი ჰოლდინგს", შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფს", შპს ,,ცენტრ პოინტ სიტის" შორის 2020 წლის 9 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგისთვის" გადასაცემი ფართის ოდენობის ფარგლებში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წრმოდგენილი, იქნა „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.032) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა, კორპუს N3-ში მდებარე უძრავი ქონების განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი, შემდეგი პირებისათვის სიმბოლური ფასის სანაცლოდ პრივატიზების საკითხის საკრებულოსთან შეთანხმებას:

1. დავით ბრეგვაძე; პ/ნ 01027041587; 76.34 კვ.მ; ს/კ:01.19.23.009.032.01.539.
2.ნუგზარ მელუა; პ/ნ 01027053586; 57.84კვ.მ; ს/კ:01.19.23.009.032.01.537.
3. გიორგი ვალაშვილი; პ/ნ 01027040401; 51.37კვ.მ; ს/კ:01.19.23.009.032.01.538.
4. ნათელა ფსუტური;პ/ნ 01002021779; 100.77კვ.მ; ს/კ: 01.19.23.009.032.01.540.

მარიამმა ასევე მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, შუამდგომლობით მიმართა, სამგორის რაიონის გამგეობამ, მოქალაქეთა კოლექტიური განცხადების საფუძველზე და ითხოვა, ქ. თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა, კორპუს N3-ში, არადევნილის სტატუსი მქონე 4 ოჯახისათვის, მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი იზოლირებული ფართების, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა. მომხსენებელმა ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგ დეტალებზე:

- დაინტერესებულ პირთა მიერ, ქ. თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა, კორპუსი N3-ში. **ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის VII განყოფილება გამგეობაში წარდგენილი შესაბამისი წერილით, ასევე, მეზობლები, ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით ადასტურებენ უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა მიერ, 1999 წლიდან დღემდე, ცხოვრების

ფაქტს, აგრეთვე, სამგორის საუბნო განყოფილების გამგეობის შემოწმების აქტებით, დასტურდება ზემომითითებულ პირთა, ოჯახებთან ერთად, 1998-2002 წლებიდან ცხოვრების ფაქტი.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილებით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების და მათი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე ქალაქ თბილისში, რეგისტრირებული არ არის.

მარიამმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის განკარგულების პროექტის სათაურის, ასევე, პროექტის პირველი და მეორე პუნქტების მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია მათი ცვლილებება, შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფრომა მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას N46ª-ში, (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.011.02.508) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას N46ª-ში მდებარე, 55.24 კვ.მ ფართის უძრავი ქონებპირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი), ლარად მოქალაქე ლევან კახიშვილისათვის გადაცემის

თაობაზე საკითხის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან მარიამმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ლევან კახიშვილმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას N46ა-ში მდებარე, მის ფაქტობრივ მფლობელობაშიარსებული 55.24 კვ.მ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა, თავის მხრივ, ვაკის რაიონის გამგეობამ, რეკომენდაციით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს.
- უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის **ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის II **განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ასევე,** მოქალაქეები: კახაბერ მუშკუდიანი, ციცინო ტუღუში და გულა ზურაბიანი, ნოტარიულად დამოწმებული აქტების თანახმად ადასტურებენ, რომ ლევან კახიშვილი 2012 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის მიხედვით, **ლევან კახიშვილის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.**

მარიამმა დასასრულს აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის - „სიმბოლური ფასის 1 (ერთი) ლარის" მითითების და პროექტის მე-2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით რედაქტირების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ

წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, საქნავთობის დასახლებაში, ჭირნახულის ქუჩაზე (ნაკვეთი N02/008 საკადასტრო კოდი: N01.19.14.002.008)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მარიამის განმარტებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, საქნავთობის დასახლებაში, ჭირნახულის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების, დანართი N1-ით მოცემულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ დეტალებთან დაკავშირებით:

- სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს შემდეგმა მოქალაქეებმა და ითხოვეს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა: **გიორგი გველესიანმა 37.56კვ.მ, შაქრო ტყემალაძემ 55.88 კვ.მ, მზია ღონიაშვილმა 22.48 კვ.მ, ნატო ტაბიამ 21.18 კვ.მ და ნონა ფრანგიშვილმა 27.91 კვ.მ.** აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 165.01 კვ.მ უძრავი ქონება;

- **დაინტერესებულ პირთა უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის IVგანყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტი, რის მიხედვითაც ზემოაღნიშნული პირები დაახლოებით 2002 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე, ასევე, მეზობლების: გიორგი გველესიანი, შაქრო ტყემალაძე, მზია ღონიაშვილი, ნატო ტაბაია და ნონა ფრანგიშვილი სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ, ზემომითითებულ პირთა 1986-2010 წლებიდან ცხოვრების ფაქტს.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

მარიამმა ასევე დაამატა, რომ სამგორის რაიონის გამგეობამ, შუამდგომლობის წერილით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა დევნილის სტატუსის არმქონე პირებისათვის: **გიორგი გველესიანი, შაქრო ტყემალაძე, მზია ღონიაშვილი, ნატო ტაბაია და ნონა ფრანგიშვილი,** რომლებიც მრავალი წელია ფლობენ და სარგებლობენ, ქალაქ თბილისში, საქნავთობის დასახლებაში, ჭირნახულის ქუჩაზე მდებარე უძრავ ქონებით, **სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეთ საკუთრებაში, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და** შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის

სანაცვლოდ პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, განკარგულების პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, ასევე, პროექტის მე–2 მუხლის ტექნიკურად გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N1-ში, (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.079.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N1-ში მდებარე, 73.57კვ.მ ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი), ლარად მოქალაქე ნაზი მათიაშვილისთვის პრივატიზების საკითხის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, მარიამმა გაამახვილა ყურადღება შემდეგ გარემოებებზე:

- მთაწმინის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ნაზი მათიაშვილმა დაითხოვა **ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში,** დავით გურამიშვილის II ჩიხი, N1-ში მდებარე, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული **73.57 კვ/მ** საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, მთაწმინდის რაიონის გამგეობამ, რეკომენდაციებით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს.
- დაინტერესებული პირის **უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ასევე,

მოქალაქეების: ლევან თოფურიძე, თამარ აზარიაშვილი და მაია დვალის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით, რის მიხედვითაც, ნაზი მათიაშვილი 1990 წლიდან, ოჯახთან ერთად, ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. აგრეთვე, გამგეობის მთაწმინდა-სოლოლაკის საუბნო განყოფილების წერილით და გამოკითხვის ოქმებით, მოქალაქეები ადასტურებენ 1990 წლიდან აღნიშნული მისამართზე ნაზი მათიაშვილის ცხოვრების ფაქტს.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის მიხედვით, ნაზი მათიაშვილზე და მისი ოჯახის წევრებზესაკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

მარიამმა ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში ტექნიკური ხარვეზის გასწორება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და განკარგულების პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005.02.511) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მარიამმა განმარტა, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩის N16-ში, პირველ სართულზე მდებარე 51.47 კვ.მ ფართის მოქალაქე ზაზა ნაჭყებიასთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლური ფასად** - 1 (ერთი) **ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:**

- ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ზაზა ნაჭყებიამ და ითხოვა, ოჯახთან ერთად, 1992 წლიდან დღემდე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩის N16-ში, პირველ სართულზე მდებარე 51.47 კვ.მ ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.
- დაინტერესებული პირის უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, აგრეთვე, ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩის N16-ის მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეების: გია ცხადაძის, მადონა ბიძინაშვილის და ზაზა მჭედლიძის **ნოტარიულად დამოწმებული განცხადება, რის მიხედვითაც, მოქალაქე ზაზა ნაჭყებია 1992 წლიდან დღემდე, ნამდვილად ცხოვრობს შალვა მშველიძის ქუჩა N 16-ში.**
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილით, ზაზა ნაჭყებიას და მისი ოჯახის წევრების სახელზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მარიამმა ასევე დაამატა, რომ **ისნის რაიონის გამგეობამ,** შუამდგომლობით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ზაზა ნაჭყებიასათვის, მრავალი წლის მანძილზე თვითნებურად დაკავებული ფართის, მდებარე: ქალაქ თბილისი, შალვა მშველიძის ქუჩა N16–ში, მდებარე უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, **ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა,** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩის N16-ში, პირველ სართულზე მდებარე 51.47 კვ.მ ფართის ზაზა ნაჭყებიასათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლური ფასად** - 1 (ერთი) **ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.**

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის სათაურში ჩაემატოს სიტყვები „საკითხის შეთანხმების", ასევე გასწორდეს საკადასტრო ერთეულის მითითების ნაწილში არსებული ხარვეზი, ასევე პროექტის პირველ პუნქტში აღნიშნულ იქნას უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური, გასწორდეს მთავრობის განკარგულების სათაურისა და საკადასტრო ერთეულის მითითების ნაწილში არსებული ტექნიკური შეცდომები, პროექტის მე–2 პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და განკარგულების პროექტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა, N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.008.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მარიამმა აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე მანანა მზარეულიშვილისათვის, 30 (ოცდაათი) წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისი, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N3, სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ პრივატიზების საკითხის თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე **მანანა მზარეულიშვილმა და ითხოვა მრავალი წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების მდებარე:** ქალაქ თბილისი, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N3, სართული II, ბინა N3-ში მდებარე 69.89 კვ.მ ფართის სიმბოლურ ფასად გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.

- დაინტერესებული პირის მიერ, **უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** როგორც, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველო, გაცემული წერილით, სადაც მითითებულია, რომ მანანა მზარეულიშვილი დაახლოებით 28 წელია ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ასევე, ფაქტს ადასტურებს, მთაწმინდის რაიონის გამგეობის მთაწმინდა-სოლოლაკის საუბნო განყოფილების მიერ შედგენილი გამოკითხვის ოქმი, სადაც წერია, რომ მანანა მზარეულიშვილის ოჯახი 1990 წლიდან ცხოვრობს მისამართზე და აგრეთვე, მეზობლები ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით, ადასტურებენ, მანანა მზარეულიშვილი 1989 წლიდან დღემდე ცხოვრების ფაქტს.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მანანა მზარეულიშვილისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მარიამმა აქვე დაამატა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობის თხოვნით მიმართა ქალაქ თბილისის მერს, შესაბამისი პროცედურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მოქალაქე მანანა მზარეულიშვილისათვის, მრავალი წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემის მიზნით, კანონმდებლობით

დადგენილი პროცედურების განხორციელების შემდგომ, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, სოფელი ოქროყანა, გურამიშვილის ქუჩა N3, პირდაპირი განკარგვის ფორმით **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და აღნიშნა, რომ შეიცვალოს პროექტის სათაური, პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური, ხოლო, ტექნიკურად გაიმართოს განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს პარალიმპიური კომიტეტისთვის" (ს/ნ: 400193090) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მთავრობისათვის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების – მიკროავტობუსი (FORD TRANSIT VAN)ორი ერთეულის, 20 000 ლარის ღირებულების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს პარალიმპიური კომიტეტისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის მიცემას, შესაბამისი დანართით განსაზღვრული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მარიამმა აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მერს წერილით მიმართა ა(ა)იპ „საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის" პრეზიდენტმა რატი იონათამიშვილმა და ითხოვა, ორი

ერთეული ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების კომიტეტის საკუთრებაში გადაცემა, საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ფარგლებში, პარასპორტსმენებისვის ადაპტირებული ტრანსპორტით სარგებლობის უზრუნველყოფისა და მათი ჩართულობის მიზნით, ხოლო, შესაბამის ტექნიკურ გამართულობას კომიტეტი საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- ქალაქ თბილისის მერს ასევე წარედგინა, ა(ა)იპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის" დირექტორის წერილი, სადაც აღნიშნულ იქნა, რომ ა(ა)იპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი" ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ადაპტირებული ტრანსპორტის სერვისით ემსახურება თბილისის საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლეებს. ამ ეტაპზე ცენტრის ბალანსზე ირიცხება 9 (ცხრა)ერთეული ადაპტირებული მიკროავტობუსი, აქედან 2 (ორი) ადაპტირებული მიკროავტობუსი მწყობრიდან არის გამოსული. მიმდინარე წელს პროგრამას დაემატა 3 (სამი) ახალი მიკროავტობუსი, რომლითაც ჩანაცვლდა მოძველებული სატრანსპორტო საშუალება. ამჟამად არსებულ საჭიროებებს სრულად აკმაყოფილებს ცენტრი. აღნიშნულის გათვალისწინებით ცენტრის **დირექტორმა ითხოვა, ორი ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება, რომელიც სარემონტოა გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.**
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 22 ივნისის დასკვნით, 2 (ორი) ერთეული სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ **დასკვნის მიხედვით, ავტომობილები წარმოდგენილი სახით ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია** და მათი შემდგომი ექსპლუატაცია ტექნიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ არის.

- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 13 ივლისის დასკვნის მიხედვით, ორი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების საერთო საორიენტაციო საბაზრო ღირებულება 2020 წლის 10 ივლისის მდგომარეობით შეადგენს 20 000 (ოცი ათას) ლარს.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრს" მიეცა თანხმობა, მის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული (FORD TRANSIT VAN) სატრანსპორტო საშუალება, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოთ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.
- ქალაქ თბილისიის მერიის ადმინისტრაციის 2020 წლის 21 სექტემბრის წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია არ არის წინააღმდეგი ზემოხსენებული მოძრავი ქონება გადაეცეს ა(ა)იპ „საქართველოს პარალიმპიურ კომიტეტს" პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით.

მოხსენების დასასრულს, მარიამმა ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, საქართველოს პარალიმპიურ კომიტეტისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- მოძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება სიმბოლური ფასი1 (ერთი) ლარი.
- საპრივატიზებო საფასურის გადახდა უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
- ა(ა)იპ „საქართველოს პარალიმპიურ კომიტეტმა"საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს მოძრავი ქონების სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთ სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაცია, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
- ა(ა)იპ „საქართველოს პარალიმპიურ კომიტეტმა" საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს მოძრავი ქონების შესაბამისი ტერიტორიიდან გატანა, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში არსებულ ტექნიკურ ხარვეზებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, იქნა „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.054.01.504 და N01.15.07.003.054.01.500) მდებარე

უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მარიამის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N6-ში პირველ სართულზე, მდებარე 78.54კვ.მ და მეორე სართულზე მდებარე 85.61 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ეთერ კვარაცხელიასთვის პრივატიზების საკითხის თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, მარიამმა ისაუბრა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ეთერ კვარაცხელიამ და ითხოვა, ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისი, სოფელ ოქროყანა, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N6-ში, პირველ სართულზე, მდებარე 78.54კვ.მ და მეორე სართულზე მდებარე 85.61 კვ.მ საცხოვრებელი ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა;
- აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, მთაწმინდის რაიონის გამგეობამ, თხოვნით მიმართა ქალაქ თბილისის მერს, რომ გასწეოდა შუამდგომლობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირებული უძრავი ქონების, შემდგომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით, რათა მუნიციპალიტეტს მისცემოდა შესაძლებლობა განახორციელოს მოქალაქეებზე მათი სიმბოლურ ფასად გადაცემა. ამჟამად აღნიშნული ქონებები აღირიცხება მუნიციპალიტეტის საკუთრებად. მთაწმინდის რაიონის გამგეობამ, რეკომენდაციებით ასევე მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს;
- **დაინტერესებული პირის ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილების **მიერ** გაცემული შესაბამისი დოკუმენტი, აგრეთვე, მოქალაქეები ვაჟა შავერდაშვილი, მალხაზი ფირცხალაიშვილი და ლერი ბიწაძე სანოტარო წესით დამოწმებული აქტით ადასტურებენ, რომ ეთერ კვარაცხელია ოჯახთან ერთად ცხოვრობს ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N6-ში, მდებარე ფართში 1990 წლის სექტემბრიდან.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ეთერ კვარაცხელიას და მისი ოჯახის წევრებზე **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.**

დასასრულს მარიამმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, მიზანშეწონილად მიიჩნევს დაინტერესებული პირისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის

ფორმით უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურში არსებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების, ამავე პუნქტში მთავრობის განკარგულების სწორი ფორმით მითითებისა და პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუს N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.011.01.524) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მარიამის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუს N27-ში, მე-4 სართულზე მდებარე **99.44 კვ.მ** უძრავი ქონების მოქალაქეების **გიორგი ისაკაძისა** და **ცირა ზუხბაიასთვის** (პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საბურთალოს რაიონის გამგეობას და ქალაქ თბილისის მერს განცხადებით მიმართეს, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულმა ზემომითითებულმა პირებმა და ითხოვეს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა;
- საბურთალოს რაიონის გამგეობის დიღომი-ვაშლიჯვრის საუბნო განყოფილების მიერ მოკვლევის შედეგად, დაადგინა, დაინტერესებული პირების მიერ, ქ.თბილისი, დიდი

დიღმის მე-3 მ/რ-ი, N27 საცხოვრებელ კორპუსში მდებარე ფართების **2002 წლიდან, ცხოვრებისა და სარგებლობის ფაქტის** ნამდვილობა.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის IV განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება, რომ **გიორგი ისაკაძისა და ცირა ზუხბაიას 2007 წლიდან დღემდე,** ქალაქ თბილისი, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუსი N27-ში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა;
- მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით ასევე დასტურდება, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა **2001-2003 წლებიდან** ქალაქ თბილისი, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუსი N27ცხოვრების ფაქტი.
- საბურთალოს რაიონის გამგეობამ, მოკვლეული ინფორმაციის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი განკარგულების პროექტში მითითებული პირებისათვის, ქ.თბილისში, დიდი დიღმის მე-3 მ/რ-ის, #27-ე კორპუსში არსებული ფართის, სიმბოლურ ფასად, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, შესაბამისი პროცედურების გატარებას.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილებით, საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე ქალაქ თბილისში, რეგისტრირებული არ არის.
- სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს წერილით დასტურდება რომ N01.10.08.005.011.01.524 საკადასტრო კოდით მითითებულ უძრავ ქონებაში ცხოვრობს გიორგი ისაკაძე დევნილ მეუღლესთან, ცირა ზუხბაიასთან ერთად, რომელიც, დევნილთა ელექტრონული მონაცემთა ბაზის მიხედვით, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი არ არის. სააგენტო არ არის წინააღმდეგი ქ. თბილისში, დიდი დიღომი, მე-3 მ/რ, კორპუსი N27-ში მდებარე ფართი გიორგი ისაკაძეს ცირა ზუხბაიასთან ერთად გადაეცეს თანასაკუთრებაში.

მარიამმა მოხსენების დასასრულს აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში, პირველ და მე–2 პუნქტებში არსებული ხარვეზების გამოსწორება და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, შუამთის ქუჩა N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, შუამთის ქუჩა N26–ში მდებარე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, თვითნებურად დაკავებული, ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების, **მოქალაქეებისათვის: დავით ამირაშვილის, გიორგი ტოროშელიძის, ჯემალი ქარჩხაძის, მაია ოთარაშვილისა და კახაბერი ბედიასათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ,** პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მარიამმა აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობას, ზემოაღნიშნული მოქალაქეების მიერ, 2020 წელს წარედგინა განცხადებები, სადაც ითხოვდნენ, **2001–2002 წლებიდან** თვითნებურად დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შესაბამის ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევას, ამასთან, მომხსენებელმა კომისიის წევრებს გადაცემ უძრავ ქონებასთან და პირებთან დაკავშირებით მიაწოდა შემდეგი **სახის ინფორმაცია:**

- **დავით ამირაშვილს**– გადაეცემა მე–8 სართულზე, **89.76 კვ.მ.** ფართი; ბინა N43; ს/კ: 01.19.20.023.027.01.043; გამგეობაში წარდგენილი განცხადებით საცხოვრებელი ბინა ოჯახთან ერთად დაკავებული აქვს **19 (ცხრამეტი)** წლის მანძილზე;

- **გიორგი ტოროშელიძეს** – გადაეცემა მე–8 სართულზე, **65.33 კვ.მ.** ფართი, ბინა 22ა, ს/კ: 01.19.20.023.027.01.522ა; გამგეობაში წარდგენილი განცხადების თანახმად, საცხოვრებელი ბინა ოჯახთან ერთად დაკავებული აქვს **19 (ცხრამეტი)** წლის მანძილზე;

- **ჯემალი ქარჩხაძეს** – გადაეცემა მე–7 სართულზე, **68,85** კვ.მ. ფართი, ბინა 38; ს/კ: 01.19.20.023.027.01.038; გამგეობაში წარდგენილი განცხადებით საცხოვრებელი ბინა ოჯახთან ერთად დაკავებული აქვს **19 (ცხრამეტი)** წლის მანძილზე;

- **მაია ოთარაშვილს** – გადაეცემა მე–2 სართულზე, **92.70** კვ.მ. ფართი, ბინა N22, ს/კ: N01.19.20.023.027.01.525, გამგეობაში წარდგენილი განცხადების თანახმად, საცხოვრებელი ბინა, ოჯახთან ერთად დაკავებული აქვს **18 (თვრამეტი)** წლის მანძილზე;

- **კახაბერი ბედიას**– გადაეცემა მე–7 სართულზე, **68,77 კვ.მ.** ფართი; ბინა N19; ს/კ: 01.19.20.023.027.01.019; გამგეობაში წარდგენილი განცხადებით საცხოვრებელი ბინა ოჯახთან ერთად დაკავებული აქვს **19 (ცხრამეტი)** წლის მანძილზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა ცხოვრების ფაქტი დასტურდება, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი–სამგორის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების მიერ, გაცემული დოკუმენტებით, რომელთა თანახმადაც:
გიორგი ტოროშელიძე –2000 წლიდან ცხოვრობს ბინა N22ა–ში; დავით ამირაშვილი – 2001 წლიდან ცხოვრობს ბინა N43–ში: მაია ოთარაშვილი – 2001 წლიდან ბინა N22–ში; ჯემალ ქარჩხაძე – 2001 წლიდან, ბინა N38–ში; კახაბერი ბედიას ოჯახი – 2001 წლიდან ბინა N19–ში (აქვე აღსანიშნავია, რომ ოქმში შედგენილია კახაბერი ბედიას ოჯახის წევრის ზურაბ ბედიას სახელზე, რომელიც გარდაიცვალა, ხოლო, საცხოვრებელი ბინა გადაეცემა შვილს – კახაბერი ბედიას.

მარიამმა ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა **ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ასევე, ადასტურებს, როგორც სამგორის რაიონის გამგეობის მიერ მოქალაქეებთან გასაუბრების ოქმები,** რომელთა მიხედვითაც, ქალაქ თბილისში, შუამთის ქუჩა N26–ში მდებარე საცხოვრებელი ფართები პროექტის დანართ N1–ში მითითებულ პირებს დაკავებული აქვთ 2000–2002 წლებიდან; პირთა მიერ უძრავ ქონებაში 2001 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ასევე ადასტურებს, მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული აქტები;

- **სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული წერილებით,** უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სახელზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის;

- **სსიპ –დევნილთა ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის** სააგენტო არ არის წინააღმდეგი ქალაქ თბილისში, მოქალაქეთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული შესაბამისი საცხოვრებელი ფართები, მათ შორის, განკარგულების დანართ N1–ში მითითებული 5 (ერთული) უძრავი ქონება გადაეცეთ შესაბამის პირებს.

მოხსენების დასასრულს მარიამმა დაამატა, რომ **სამგორის რაიონის გამგეობამ,** შუამდგომლობის **წერილებით მიმართა სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, დევნილის სტატუსის არმქონე პირებისათვის, რომელთაც ქალაქ თბილისში, შუამთის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ფართები დაკავებული აქვთ 2001 წლიდან, სიმბოლური ფასის სანაცვლოდ, პრივატიზებასთან დაკავშირებით. **ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ,** იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების მოქალაქეებისათვის: დავით ამირაშვილის, გიორგი ტოროშელიძის, ჯემალი ქარჩხაძის, მაია ოთარაშვილისა და კახაბერი ბედიასათვის, სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ,** პრივატიზების თაობაზე საკითხის, ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შეთანხმება, ამავე განკარგულების დანართი N2–ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის ისაუბრა პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების“ და პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების და მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით შესწორების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მარიამმა განმარტა, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების კერძოდ, მოჩარჩოებული მავთულბადის და კუთხოვანაში ჩასმული ლითონის უჯრების (საერთო საპრივატიზებო ღირებულებაა - 4 680 ლარი, საერთო საბაზრო

ღირებულებაა - 6 240 ლარი), სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის მიცემას, მთავრობის განკარგულების დანართით გათვალისწინებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მარიამმა აღნიშნა, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას და სამგორის რაიონის ნასაგურის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარის დეკანოზ გიორგი მანველიშვილის მიერ შუამდგომლობის გაწევის თხოვნის გათვალისწინებით, **ტაძრის მშენებლობისთვის ითხოვა, მეორადი მავთულბადის ხუთასი გრძივი მეტრი კონსტრუქციის გადაცემა.** დეკანოზ მიქაელ ბოტკოველი ითხოვს, თუ შესაძლებელია საქართველოს საპატრიარქოს პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეს აღნიშნული მოძრავი ქონება.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, შპს"ექსპერტ-აუდიტი" აუდიტორიული დასკვნის შედეგები, რის თანახმადაც, სამგორის რაიონის გამგეობის ბალანსზე სკვერებში და სპორტულ მოედნებზე დემონტირებული ამორტიზირებული ინვენტარის საპრივატიზებო და საბაზრო ღირებულება განისაზღვრა შემდეგნაირად: მოჩარჩოებული მავთულბადე (3x1,5) – **300** ცალი და კუთხოვანში ჩასმული ლითონის უჯრები (2x1,5) – **30** ცალი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა - **4680** (ოთხიათასექვსას ოთხმოცი) ლარის ოდენობით, ხოლო საბაზრო ღირებულებად განისაზღვრა **6240** (ექვსიათასორასორმოცი) ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა აგრეთვე ისაუბრა უფლებამოსილი ორგანოების პოზიციაზე და აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში გაგზავნილი წერილით, აცხადებს, დაინტერესებაში არსებული ქონება დასაწყობებულია სამგორის რაიონის ტერიტორიაზე და **გამგეობა არ არის წინააღმდეგი** აღნიშნული ქონება გადაეცეს საქართველოს საპატრიარქოს ტაძრის შემოღობისთვის. ამასთან, ქალაქ თბილისის მერიის **ადმინისტრაცია არ არის წინააღმდეგი ზემოხსენებული მოძრავი ქონება გადაეცეს საქართველოს საპატრიარქოს** პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით. ხოლო,
სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შესაბამისი წერილის მიხედვით, გასცა დადებით რეკომენდაცია, საქართველოს საპატრიარქოსთვის მოძრავი გადაცემის შესახებ.

მოხსენების დასასრულს მარიამმა მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით **სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ** პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, იმ პირობით, რომ სსიპ – **საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურმა მართლმადიდებელმა**

ეკლესიამ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მოძრავი ქონების შესაბამისი ტერიტორიიდან გატანა, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზები გამოსწორება და პროექტის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N18-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.17.002.091) პირდაპირი გაკარგვის წესით გოჩა აბაზაშვილისთვის იჯარით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მარიამმა აღნიშნა, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. № 18-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გოჩა აბაზაშვილისთვის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, ხუთი წლის ვადით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, ამასთან, **ისაუბრა, შემდეგ დეტალებზე:**

- გოჩა აბაზაშვილმა, რომლის სახელზეც, სხვა პირებთან ერთად თანასაკუთრების უფლებით რეგისტირებულია, ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. № 18-ში არსებული ფართი, განცხადებით მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და მოითხოვა ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. № 18-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ხუთი წლის ვადით, ღია კაფეს მოწყობის. ამასთან, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია აღნიშნული ფართის სხვა თანამესაკუთრეების მინდობილობები, რომლითაც გოჩა აბაზაშვილს ეძლევა თანხმობა ზემომითითებული ფართის იჯარით მიღებასა და თანამესაკუთრეების სახელით, შესაბამისი ქმედებების განსახორციელებლად;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო

საიჯარო ქირის ოდენობა, 2020 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1152 (ათას ას ორმოცდათორმეტი) ლარით;

მარიამმის მითითებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილებით, განმცხადებელს ეცნობა, რომ ღია კაფეების მოწყობისას გასათვალისწინებელია, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის № 14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნები, დაინტერესებულ პირს ასევე ეცნობა წლიურ საიჯარო ქირად – 1200 (ათას ორასი) ლარის განხილვის შესახებ; აღნიშნულთან დაკავშირებით, განმცხადებელმა დამატებითი განცხადებით გამოთქვა თანხმობა სააგენტოს შეთავაზებაზე და ყველა პირობაზე;

მოხსენების დასასრულს კი მარიამმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, **გოჩა აბაზაშვილისთვის - 5 (ხუთი) წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 1200 (ათას ორასი) ლარის სანაცვლოდ,** იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში აღინიშნოს, ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 7 ოქტომბრის №20.1186.1454 განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების დეტალური მონაცემები, ხოლო, პროექტის მე–3 პუნქტი გაიმრთოს სტილისტური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ზარათაშვილის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.009.028) 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მზეკაბანისათვის" (ს/ნ: 204392031) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მარიამმა აღნიშნა, პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ბარათაშვილის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „მზეკაბანისათვის" იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხზე ქ. თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, კომისიის წევრებს მიაწოდა შემდეგი სახით ინფორმაცია:

- შპს „მზეკაბანის" დირექტორმა გიორგი ისაკაძემ, რომლის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა N12/სანაპიროს ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონება, ელექტრონული განცხადებებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქალაქ თბილისში, ბარათაშვილის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

- **სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიცით,** მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ღია კაფის განთავსების საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა **კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ,** რომლის გადაწყვეტილების საფუძველზე, დადებითი შეფასება მიეცა ქალაქ თბილისში, ბარათაშვილის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს.

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს **სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით**, დაინტერესებაში არსებული **19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის** წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2020 წლის 28 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **3 420** (სამიათას ოთხას ოცი) **ლარით.**

მარიამის მითითებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისში, ბარათაშვილის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მზეკაბანისათვის"იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხისა და მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურის - **3 420** (სამიათას ოთხას ოცი) ლარის ოდენობით, 5 (ხუთი) წლის ვადით, ქ. თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა. ხოლო, საკითხის, ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო უზურნველყოფს უძრავი ქონების დაინტერესებული კომპანიისათვის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემას ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურსა და პროექტის მე–3 მუხლში არსებულ ხარვეზებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია მათი ცვლილება, შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ დავით ჯაიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, პროექტი ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 **დადგენილების პირველი პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს:**

- **დადგენილების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის სახით –** თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის N20.1225.1523 განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) **მარშრუტების დამტკიცებას, აღნიშნული განკარგულების დანართი 1-ის შესაბამისად;**
- **დადგენილების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის სახით –** ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების ზემომითითებული განკარგულების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით დადგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით **მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად, ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების**

დამტკიცებას, აღნიშნული განკარგულების, დანართი 2-ის და მათ განრიგს – დანართი 3-ის შესაბამისად.“

ბატონმა დავითმა ასევე მიუთითა, რომ დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულ იქნა შემდეგი გარემოებებით:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში,** 2020 წლის პირველი ოქტომბრის №64-107 დადგენილებით **განხორციელებული ცვლილებით,** სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში **დაინერგა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა** (შემდგომში - ინტეგრირებული სისტემა), რომელიც ითვალისწინებს მისი ფუნქციონირებისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის შესაბამის ვალდებულებებს და ინტეგრირებული სისტემის დანერგვისათვის გასატარებელ ღონისძიებებს.
- აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესის 18[1] მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **საკრებულო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემაში ჩასართავი ავტობუსების მარშრუტებს.**
- ამასთან, ვინაიდან, პროექტით წარმოდგენილ დანართ 2-ში ასახული ავტობუსის (M_3 კატეგორია) №385 მარშრუტით სრულად გადაიფარება ამჟამად მოქმედი №85 მარშრუტი, აღნიშნულის გათვალისწინებით ეს უკანასკნელი ამოღებულია დანართი 1-დან.

მომხსენების დასასრულისაკენ, დავითმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, იმსჯელა და გადაწყვიტა, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დადგენილების პროექტის შემუშავება და ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა. ასევე დაამატა, რომ დადგენილება დამტკიცების შემთხვევაში **ამოქმედდება 2020 წლის 24 ოქტომბრიდან, ხოლო მისი** ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და მისი ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ბატონმა ლევანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის პირველი მუხლის პრეამბულაში სწორი რედაქციით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17–48 დადგენილების სათაური, ამასთან, აღნიშნული მუხლი გაიმართოს სტილისტური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ დავით ჯაიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას.

ამასთან, ბატონმა **დავითმა ისაუბრა პროექტის გამომწვევ მიზეზებზე** და მიუთითა შემდეგი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში, 2020 წლის პირველი ოქტომბრის №64-107 დადგენილებით შეტანილი ცვლილებით, სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაინერგა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა (შემდგომში - ინტეგრირებული სისტემა), რომელიც ითვალისწინებს მისი ფუნქციონირებისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის შესაბამის ვალდებულებებს და ინტეგრირებული სისტემის დანერგვისათვის გასატარებელ ღონისძიებებს, ხოლო დადგენილებით დამტკიცებული წესის 18[1] მუხლის პირველი პუნქტით **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემაში ჩასართავი ავტობუსების მარშრუტებს.**

მომხსენებელმა დაამატა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდა დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 16 ოქტომბრის №20.1223.1522

განკარგულებით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტებისა და მათი განრიგების დამტკიცებას,

დავითმა დასასრულს ასევე მიუთითა, რომ დადგენილება დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება 2020 წლის 24 ოქტომბრიდან.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარე მიზანშეწონილად მიიჩნევს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველ მუხლში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი დაქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებისას, მის„ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში, მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების თარიღი და ნომერი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების

ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებით დამტკიცებულ წესში ცვლილების განხორციელებას და მე-18[1] მუხლში მე-4[1] პუნქტის დამატებას.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა პროექტთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე და მიუთითა შემდეგი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში 2020 წლის პირველი ოქტომბრის №64-107 დადგენილებით შეტანილი ცვლილებით, სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაინერგა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა (შემდგომში - ინტეგრირებული სისტემა), რომელიც ითვალისწინებს მისი ფუნქციონირებისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის შესაბამის ვალდებულებებს და ინტეგრირებული სისტემის დანერგვისათვის გასატარებელ ღონისძიებებს, ხოლო დადგენილებით დამტკიცებული წესის 18[1] მუხლის მე-4 პუნქტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, დაევალა ხელშეკრულების გაფორმება ნებართვის მფლობელთან, რომლითაც უნდა დარეგულირდეს მომსახურების გაწევის წესი და პირობები, მათ შორის მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხის ანაზღაურების ოდენობა და წესი.

ამასთან, ბატონმა ვასილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან არსებული წესის მიხედვით, ინტეგრირებული სისტემა ხელშეკრულების გაფორმებამდე არ ითვალისწინებდა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების სატრანსპორტო საშუალებების ჩართვას, ხოლო ფაქტობრივი მდგომარეობით სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემოყვანილ იქნა ინტეგრირებულ სისტემაში ჩასართავი ავტობუსები, დღის წესრიგში დადგა წესის 18[1] მუხლში 4[1] პუნქტის დამატება, რომლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების გაფორმებამდე, განსაზღვრავს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსების მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ პირობებს, მათ შორის მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხის (მძღოლის შრომის ანაზღაურება და საწვავის ხარჯი) ოდენობას და უნაზღაურებს ნებართვების მფლობელებს მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელ თანხას. ამავე დროს, **ინტეგრირებული სისტემის ერთ-ერთი ნოვაცია იმაში მდგომარეობს, რომ მგზავრობის ფასის გადახდის საშუალებად განისაზღვრება მხოლოდ ელექტრონული გადახდა ნაცვლად დღეის მდგომარეობით არსებული ე.წ. შერეული ტიპის**

გადახდისა, რომელიც ელექტრონულ გადახდასთან ერთად თავის თავში მოიცავს მგზავრობის ფასის ნაღდი ფულით გადახდასაც.

ვასილ აბულაძემ დასასრულს დაამატა, რომ დადგენილების პროექტი მოწონებულ იქნა 2020 წლის 16 ოქტომბრის მთავრობის N20.1219.1515 განკარგულებით და პროექტი დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგნილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა პროექტის გამომწვევ მიზეზებზე და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში 2020 წლის პირველი ოქტომბრის №64-107 დადგენილებით შეტანილი ცვლილებით, სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაინერგა **სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა**, რომელიც ითვალისწინებს მისი ფუნქციონირებისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის შესაბამის ვალდებულებებს და ინტეგრირებული სისტემის დანერგვისათვის გასატარებელ ღონისძიებებს.

მომხსენებელმა ამასთან დასძინა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესის 18[1] მუხლის მეორე პუნქტით **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად, განსაზღვრავს მგზავრობის ფასს, ხოლო ყოველივე მითითებულიდან გამომდინარე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2020 წლის 16 ოქტომბრის

N20.1222.1519 განკარგულების თანახმად, მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული ცვლილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა.

ვასილ აბულაძემ ისაუბრა პროექტით დაგეგმილ ცვლილებებზე და მიუთითა შემდეგი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ ემატება 1^1 პუნქტი, რომლითაც **მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფი/ფასი. ასევე დაამტკ, რომ** დადგენილება დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება **2020 წლის 24 ოქტომბრიდან.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **თამთა კაკოიშვილი**